

საგრობიელო

საგრობიელო გავითი შაბათი 16 აგვისტო 2008 №188 (3412)

ფასი 50 თეთრი

საგრობიელო
საგრობიელო

**უცხოელები ბაკვირდნენ
ჩვენი სამუშაო
საქართველო!
ამას ამბობენ თხი და რუსი**



**РУСЬ, КАКАЯ
ТЫ НАЦИЯ:
ОККУПАЦИЯ**

ჩემი საპროგრესული საქართველო!



ბაბა
ბერიძე
პეინიდან
საგანგებოდ
„სარბიელისთვის“

პეინის XXIX ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ეკვატორს მიუახლოვდა და ორდღიანი უქმური ამინდისა და თავსხმა წვიმის შემდეგ ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში როგორც იქნა, გამოიდარა. მერვე დღეა, ჩინეთის დედაქალაქში ვიმყოფები და გუშინ მზის სხივი მოწმენდილ ცასთან ერთად პირველად ვიხილე. აქაურთა თქმით, ლურჯი ცა და მცხუნვარე მზე პეინში იშვიათობაა.

ორიოდ სიტყვით თამაშების ორგანიზაციულ საკითხებსაც შევხები, მით უფრო, რომ აქამდე, ცნობილ მიზეზთა გამო, ამ თემაზე ყურადღება არ გამომავლილებია.

OLYMPIC GREEN, სადაც სპორტულ არენათა ძირითადი ნაწილია განლაგებული, უზარმაზარ ტერიტორიაზეა გადაჭიმული. აქ არის, საწყლოსნო კომპლექსი „წყლის კუბი“, ცენტრალური სტადიონი „ჩიტის ბუდე“, ფარიკაობის, ტანვარჯიშის, ძიუდოს, ჭიდაობის დარბაზები, ჩოგბურთის კორტები, აქვეა მთავარი პრესცენტრიც, საიდანაც სპეციალური ავტობუსები მოძრაობს როგორც არენების, ისე მედია-სოფლის მიმართულებით.

ტრანსპორტირების მხრივ საწუწუნო ნამდვილად არაფერია, ავტობუსები განრიგის მიხედვით ყოველ ნახევარ საათში დადიან. მთავარ პრესცენტრშიც იდეალური სამუშაო პირობებია შექმნილი, ინფორმაციები სხვადასხვა შეჯიბრებებიდან დღის მანძილზე სისტემატურად ახლდება. აქვეა განთავსებული „როიტერის“, „ასოშეითიდ პრ-

ესისა“ და სხვა დიდ სააგენტოთა ოფისები. უურნალისტებისთვის იმართება ტურები ქვეყნის სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, მთავარი აქცენტი კი, ბუნებრივია, ჩინეთის კედელზე კეთდება.

თუმცა ისიც არის, რომ უფასო ინტერნეტით სარგებლობა ფრიად მოუხერხებელი და პრაქტიკულად შეუძლებელი საქმეა. ასეთი სულ 20 კომპიუტერია და რიგში დგომაა საჭირო. ისე კი, მომსაურების მთლიანი პაკეტის შეძენა 500 დოლარი ღირს.

მომსახურე პერსონალი თვალეზში შემოგყურებს და ცდილობს, მაქსიმალურად ამომწურავად უპასუხოს შენს კითხვებს, თუმცა ცოცხალი გამხელილი სკოლს და, უნდა ითქვას, რომ ეს ზმირ შემთხვევებში არც თუ ისე კარგად გამოსდით. ყოფილა შემთხვევები, ძალიან უბრალო კითხვაზეც დაბნეულან და დასახმარებლად სხვისთვის მოუხმიათ. მოხალისეების მოზრდილ ნაწილს კი ენობრივი ბარიერის პრობლემა აქვს და ვერ გააგებინებ, რა გინდა. მაგრამ გაემიერებ, რამდენადაც გაუთვითცნობიერებლები არიან რაღაც საკითხებში, იმდენად თავაზიანად გეპყრობიან. ასე მაგალითად, კოკისპირული წვიმის დროს ავტობუსიდან გადმოსულს დანიშნულების ადგილამდე ქოლგით მიგაცილებენ. საერთო ჯამში, ორგანიზაციული თვალსაზრისით, სერიოზული ხარვეზები არ არის.

წინა რეპორტაჟებიდან აღბათ გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ ოლიმპიურ სოფელში ჩვენმა დედეგაციამ საპროტესტო აქცია SOS მოაწყო, მერე კი აქცია რუსეთის საელჩოსთან რომ გაიმართა. ამათთან დაკავშირებით ოლიმპიური სოფლის მერმა ჩვენი დედეგაცია მკაცრად გააფრთხილა, მომავალში

მსგავსი აქციები აღარ მოაწყოთ. ანალოგიური გაფრთხილება მიიღო საქართველოს საელჩომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან...

გუშინ ძიუდოსტთა ტურნირი მძიმე წონოსების ორთაბრძოლებით დასრულდა. ჩვენი იმედი ლაშა გუჯეჯიანი ნახევარფინალამდე რიხით კი მივიდა, მაგრამ შემდეგ მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან იაპონელ იშისთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა, ხოლო ბრინჯაოსთვის შეხვედრაში წონის უმთავრეს ფავორიტთან ტედი რინერთან ვერაფერი გააწყო. სხვათა შორის, ტედი რინერი ლაშასთვის დღემდე გადაულაზავი მეტოქეა.

ნიშანდობლივია, რომ ძიუდოსტთა საღამოს სესიაზე მიმავალს რუს უურნალისტებთან ერთად მომიხდა მგზავრობა, რომლებიც, რატომღაც, ჩვენებურის ქებით დაიხარჯნენ და მას ოლიმპიური მედლის მოპოვებაც უწინასწარმეტყველეს და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც არაფერში შევეწინააღმდეგე.

გუშინ ძიუდოს დარბაზში ლეგენდარული ფრანგი კომონისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი დავიდ დუიე დავლანდე, რომელიც ერთ-ერთი ფრანგული ტელევიზიისთვის კომენტატორად მუშაობდა. ვცადე, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ მხოლოდ ერთი ფრაზით შემოიფარგლა: „მე მახსოვს დავით ხახალეიშვილი, ის უნიკალური სპორტსმენი იყო“.

საერთო ჯამში, საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრებმა პეინის ოლიმპიადა ერთი ოქროს მედლით დაასრულა და ათენის შედეგი გააუარესა. რუსეთის გუნდი კი, რომელიც ასევე შევიდევ წონით კატეგორიაში იყო წარმოდგენილი, საერთოდ უმედლოდ დარჩა. სხვათა შორის, რუსი უურნალისტები ძა-

ლიან დაბოლმელები არიან დღემდე მოპოვებული მხოლოდ სამი ოქროს მედლის გამო.

სამწუხაროდ, წინა თამაშების მსგავსად, მეორე ეტაპიდან გამოეთიშა შეჯიბრს ფოთელი მოკრივე ნიკოლოზ იზორია და გზა ისევ აზერბაიჯანელმა ათლეტმა გადაუღობა.

წარუმატებელი გამოდგა ძალოსნობაში რაულ ცირეკიძის დებიუტი, ხოლო ამ სახეობაში ჩვენი უმთავრესი იმედი არსენ კასაბიევი 17 აგვისტოს აწვეს შტანგას.


დღეს პლაჟის ფრენბურთში გე-

ორ-გია ავსტრიულ წყვილს შეებრძოლება, ბატუტზე ხტომაში უმეტიერესი და უნიჭიერესი ლუბა გოლოვინა გამოვა, ხოლო ბირთვის მარიამ ქვეხიშვილი ჰკრავს.


და ბოლოს ერთი საინტერესო დეტალიც, რომელიც უცხოელ უურნალისტებში დიდ ინტერესთან ერთად გაცეცხას იწვევს. 35 სპორტსმენს შორის ჩვენს გუნდში როგორც რუსი, ისე ოსური წარმომადგენლები ათლეტებიც არიან. კითხვაზე კი უცხოურ მედიასთან მათ ერთი პასუხი აქვთ — ჩემი სამშობლო საქართველოა!



ლეგენდარული დავიდ დუიე: მე მახსოვს დავით ხახალეიშვილი, ის უნიკალური სპორტსმენი იყო



გუჯეჯიანის იმედი, როგორც მისივე ხელით დაიკარგა



ბრინჯაოსთვის ბრძოლა ლაშა გუჯეჯიანმა ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ ტედი რინერთან წააგო

და, თუმცა ეს რაღაც დაჭიდებდა, ჩვენებურმა ამერიკელს მისალომბა არ აცალა, 15 წამში ტატამზე დააწვი-
ნა.

ირანელ მუჰამედ რეზა სოდაკი-
საც ქართველმა კოკა და იუკო აა-
რთვა და ნახევარფინალში გავიდა,
სადაც მომავალი ოლიმპიური ჩემ-
პიონი იაპონელი სატოში იში ელო-
და. დასაბრუნა, რომ უკვე 14 წამზე
ლაშა ცუდად დაეცა, ხელი დაიყო-
ლა და ტრავმა მიიღო, რაც გადა-
მწყვეტი ფაქტორიც გამოდგა.

მიუხედავად ტრავმისა, აქტიუ-
რობდა, თუმცა მსაჯებმა ცოტა უც-
ნაურ სიტუაციაში მინც გააფრთ-
ხილეს. შეხვედრის დასრულებად
40 წამი რჩებოდა, გუჯეჯიანი შე-
ტევაზე გადავიდა და ისე გამოვი-
და, რომ იუკოზე თავად დაეცა.

ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ქარ-
თველი ფრანგ ევროპისა და მსოფ-
ლიოს ჩემპიონ ტედი რინერს დაუ-
დგა, კარგად დაიწყო, ბევრს ეც-
ადა, მაგრამ ქულა ვერ აიღო, თა-
ნაც ხელი ისევ აწუხებდა. მერე
მსაჯებმა აქეთ გააფრთხილეს და
ბოლოს სულაც შებოჭვაზე დაი-
ჭირა რინერმა...

ჩემპიონი კი, როგორც ვითხარით,
იაპონელი სატოში იში გახდა, ვინც
უხბეკი აბდულო ტანგრიევი წააქ-
ცია.

ნიკა კობაძე

ლოგერ შორჟოლიანის
მსგავსად, მძიმეწონის ლაშა გუ-
ჯეჯიანს მედლაზე ერთი გამარ-
ჯება დააკლდა. არადა, თავიდან
ყველაფერი კარგად დაიწყო. ლა-
შას ბაღეც შედარებით იოლი ჰქო-
ნდა.

ნაწილად სპორტსმენებში უმძიმესი,
181 კილოიანი გოლიათი გუაშელი
რიკარდო ბლაზი დასცა. პირველი-
ვე წუთზე ვახარი აართვა, მერე
მსაჯებს სამჯერ გააფრთხილებინა
და შეხვედრაც შეწყდა...

ამის შემდეგ გუჯეჯიანი ამერი-
კელ დანიელ მაკკორმიკს დაეჭი-

იზორიამ იდაყვით შეაჩერა და იდაყვმა შეაჩერა

აპკინის ოლიმპიადას მეორე ქართველი მოკრი-
ვეც დაემშვიდობა. ნიკოლოზ იზორიამ (57კგ) მერვე-
დღინაში აზერბაიჯანელ შაჰინ იმრანოვთან 9:18 წა-
აგო.


საწყისი წუთები ნამდვილად არ იძლეოდა იმის
წინაპირობას, რომ იზორია ამხელა სხვაობით დამარ-
ცხდებოდა. პირველი რაუნდი 1:2 დამო, მეორე სუ-
ლაც 3:2 მოიგო და ანგარიში გაათანაბრა — 4:4. აი,
მესამე რაუნდში კი...

მსაჯებმა ქართველს მეტოქის იდაყვით შეჩერები-
სთვის 2 ქულა წაართვეს, ამას აზერბაიჯანელი მო-
ჩხუბრის გააქტიურებაც მოჰყვა და ეს პერიოდი 8:1
მოიგო. ჩვენს მოკრივეს სასწაული თუ გადაარჩენდა.
მსაჯებმა ახლა მისი მეტოქე დასაჯეს 2 ქულით,
მაგრამ იზორიამ კვლავ ბეური დარტყმა გაატარა და
მეტოქე მეოთხედღინაში გაუშვა...

ნიკა კობაძე



148: სირეკიძეს ტრავმამ აჯობა



გუშინ პეკინში ქართველმა ძალოსანმა რაულ
ცირეკიძემ (85 კგ) მოსინჯა ძალა და, სამწუხაროდ,
ბევრს ვერაფერს გახდა.

ცირეკიძემ პირველ ცდაზე 143 კგ ასწია, თუმცა
მერე მეორე ცდაზე 148 კილოს შეეჭიდა და ტრავმა
მიიღო, რამაც ბრძოლის გაგრძელების საშუალება
აღარ მისცა.

ხვალ ფიცარნაგზე არსენ კასაბიევი (94 კგ) გამოვა
და იმედა, უკეთ იასპარეზებს. კასაბიევი, ასაკის კვა-
ლობაზე, საკმაოდ გამოცდილია, მან ათენის ოლიმპი-
ადაზეც მიიღო მონაწილეობა და არცთუ ურიგო შე-
დეგი ჰქონდა, ახლა კი მისგან გაცილებით მეტს
ელთან...

18 აგვისტოს კი კიდევ ერთი ჩვენი ძალოსანი
ალბერტ კუზილოვი (105) შეეჭიდება შტანგას.

ნიკა კობაძე



ბოიკოტი! ფიდა ქართველებს აბაოდ შეახვეწა

რუსეთში, ყაბარდო-ბალყარე-
თის ავტონომიური რესპუბლიკის
დედაქალაქ ნალჩიკში, 28 აგვის-
ტოდან 18 სექტემბრამდე მსოფლიო-
ის ქალთა ინდივიდუალური ჩემ-
პიონატი გაიმართება ჯაბრაკში. ამ
ტურნირზე ქართველი მოჭადრაკე-
ებიც უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ
გუშინ მაია ჩიბურდანიძემ, ნინო ზუ-
რციძემ, მაია ლომინიშვილმა, სო-
ფო გვეტაძემ, ლელა ჯავახიშვი-
ლმა და სოფიკო ზუხაშვილმა სა-
ბოლოოდ უარი განაცხადეს ჩემპი-
ონატში მონაწილეობაზე. სანამ ქა-
რთველი ოსტატები ტურნირს ბო-
იკოტს გამოუცხადებდნენ, საქარ-
თველოს ჯაბრაკის ფედერაციამ
რიგგარეშე სხდომა მოიწვია და შე-
ადგინა ტექსტი, რომელიც ფიდეს
პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს
გაეგზავნა...

ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს ჯაბრაკის ფედერ-
აცია და ქართველი მოჭადრაკე-
ები ყოველთვის იზიარებდნენ ფი-
დეს მთავარ პრინციპებს, რომ ჯა-
ბრაკის დაფა არ არის პოლიტი-
კური თამაშების ადგილი და რომ
ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. სამწუხარო-
ა, მაგრამ ჩვენს რეალობაში პო-
ლიტიკა უხეშად შემოიჭრა.

საქართველოში შექმნილი მძიმე
მდგომარეობის გამო ქვეყნის პრე-
ზიდენტმა საომარი მდგომარეობა
გამოაცხადა. შეზღუდულია აერო-
პორტების ფუნქციონირება; გადა-
კეტილია ქვეყნის ცენტრალური მა-
გისტრალი; განსაკუთრებულ რე-
ჟიმში მუშაობს სახელმწიფო და-
წესებულებები და ბანკები.

საქართველოს დიდი ნაწილი და-
ნგრეულია — რუსული ჯარის მი-
ერ მიწასთან არის გასწორებული
ქალაქები, ლტოლვილების რიცხვმა
25 ათასს გადააჭარბა; საავადმყო-
ფოები საცხეა დაჭრილი მშვიდო-
ბიანი მოსახლეობით; დაბომბილია
სტრატეგიული მნიშვნელობის ყვე-
ლა ობიექტი და ოკუპირებულია
ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი. სა-
ქართველომ უდიდესი მატერიალუ-
რი და მორალური ზარალი განი-

ცადა. ქვეყანაში გლოვაა გამოცხა-
დებული.

აქედან გამომდინარე, თუ არ მო-
ხდება მსოფლიოს ჩემპიონატის
სხვა ქვეყანაში გადატანა, ქართვე-
ლი მოჭადრაკეები: მაია ჩიბურდა-
ნიძე, ნინო ზურციძე, მაია ლომინი-
შვილი, სოფიო გვეტაძე, ლელა
ჯავახიშვილი და სოფიკო ზუხაშ-
ვილი აღნიშნულ ტურნირში მონა-
წილეობას არ მიიღებენ.

**საქართველოს ჯაბრაკის
ფედერაციის გამგეობა**

კირსან ილუმჟინოვს საპასუხო
წერილი, დაახლოებით, ამ შინაა-
რისი გახლდათ: ვინაიდან ტურნი-
რისთვის მზადება ბოლო სტადია-
შია შესული, სხვა ქვეყანაში მისი
გადატანა ვეღარ მოხერხდება. ვი-
ზიარებთ თქვენს წუხილს საქარ-
თველოში დატრიალებული ტრა-
გედიის გამო, მაგრამ მოდიოთ, ჯაბ-
რაკში პოლიტიკას ნუ გავრევთ და
ქართველებმა ჩემპიონატზე ითამა-
შეთო.

ქართულმა მხარემ, მიუხედავად
ფიდეს პრეზიდენტის თხოვნისა, უა-
რი განაცხადა ნალჩიკში გამგზავ-
რებაზე. აქვე გეტყვით, რომ ნონა
გაფრინდაშვილი, რომელიც ამავე
ტურნირზე საგანგებო სტუმრად
იყო მიწვეული, ბოიკოტის ერთ-
ერთი ინიციატორია. მან წერი-
ლობითი უარი შეუთვალა კირსან
ილუმჟინოვს.

ქართველი მოჭადრაკეების ბოი-
კოტის შესახებ საქართველოს ჯა-
ბრაკის ფედერაციის პრესსამსახუ-
რის უფროსის სოფიკო ნიკოლაძე-
საც ვკითხეთ.

— მიუხედავად იმისა, რომ რუ-
სებმა უსაფრთხოების სრული გა-
რანტია მოგვცეს, ჩვენ მაინც უარი
განაცხადეთ ჩემპიონატში გამოს-
ვლაზე. ამ ტურნირზე მოჭადრაკე-
ებს მხოლოდ მონაწილეობისთვის
საკმაოდ სოლიდურ თანხას უხდი-
ან, მაგრამ ქართველი ოსტატების
გადაწყვეტილება ერთსულოვანი და
უჭოჭმანო იყო — გვითხრა სოფი-
კო ნიკოლაძემ.

ზურაბ მიზრიაული

კოკოშკოვს 43 წამი დააკლდა

უკრაინა 86:81 საქართველო
ძირითადი დრო: 74:74
 22:22 14:15 13:20 25:17 12:7

საბარტველო: ცინცაძე (28 წუთი, 14 ქულა, 6 პასი), ელისი (30 წთ. 13 ქულა, 5 მოხსნა), სანიკიძე (32 წუთი, 3 ქულა, 5 მოხსნა), ციტიშვილი (35 წუთი, 24 ქულა, 9 მოხსნა), უგრეხელიძე (23 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა)

სათადარიგონი: გამყრელიძე (21 წუთი, 6 ქულა), ა. ბოისა (18 წუთი, 3 ქულა), შერმაძინი (30 წუთი, 14 ქულა, 6 მოხსნა), ტულუში (5 წუთი), შენგელია (4 წუთი), ბერიშვილი (2 წუთი)

უკრაინა: ზაბირჩენკო (10), რ. კრივიჩი (25), სილკოვსკი (2), ი. კრივიჩი (8), დროზდოვი (10), ლიშჩუკი (12), ონოფრივი (4), აგაფონოვი (4), კრავცოვი (1), ივზინი, არაბაჯი

ქართველებმა ღირსეულად ითამაშეს ზედა დივიზიონში მყოფ მეტოქესთან და ბოლო წამებზე ცოტაც რომ გამართლებოდით, გამარჯვებასაც იზვიებდნენ.

კოკოშკოვის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა. გადაწყვეტი მეთხედის წინ 8 ქულით იყო წინ და ბოლო წუთზეც დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ მასპინძლებმა ისეთი რამ მოახერხეს, კალათბურთში არცთუ ხშირად რომ ხდება.

ძირითადი დროის დამთავრებამდე 43 წამით ადრე საქართველო 6 ქულას იგებდა და გამარჯვებაც თითქმის განაღებულად ჰქონდა, მაგრამ დარჩენილ დროში უკრაინელთა ფორვარდმა როსტისლავ კრივიჩმა ორი სამქულიანი ჩაგვივლო და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. იქ კი მასპინძლებმა იძალეს და საბოლოოდ 5 ქულის სხვაობით, 86:81 გაიმარჯვეს.

ვლადიმერ ბოისა სლოვენიაში, ახალ კლუბთან კონტრაქტის გასაფორმებლად იმყოფებოდა და ნაკრებს მატჩამდე ერთი საათით ადრე შეუერთდა. ამიტომაც კოკოშკოვმა ის დაასვენა და ზედა უკრაინასთან მორიგ ამხანაგურ მატჩში ათამაშებს.

იგორ კოკოშკოვი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „თამაშს თავიდან ბოლომდე ჩვენ ვაკონტროლებდით, მხოლოდ ბოლო წამებზე მოვადუნეთ ყურად-



ღება და თითქმის მოგებული მატჩი წავაგეთ. ბოლო წუთზე 2 დასანანი სამქულიანი მივიღეთ და დამატებით დროში გასამარჯვებლად ენერჯია აღარ გვეყო. მართალია, ეს მოსამზადებელი შეხვედრა იყო, თანაც პირველი და შედეგს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მაგრამ წაგება მაინც გულდასაწყვეტია, რადგან, როგორც ვთქვი, ჩვენ გამარჯვება თითქმის მოპოვებული გვექონდა...

ვერაის გამოვარჩევ, ყველამ ბოლომდე და სამაგალითოდ იბრძო-


ლა. გუნდი პროგრესს განიცდის, თუმცა წინ ჯერ კიდევ დიდი სამუშაო გვაქვს. ბრძოლისუნარიანობა ბიჭებს არ აკლიათ, მაგრამ ფიზიკურად და ტექნიკურად ბევრი აქვთ მოსამატებელი. რაც მთავარია, სწორი მიმართულებით მივდივართ და მომავალ მოსამზადებელ მატჩებში ბიჭები კიდევ უფრო დაიხვეწებიან“.

დავით უსტიაშვილი, ეროვნული ნაკრების ასისტენტი მწვრთნელი: „ფაქტობრივად მოგებული თამაში წავაგეთ, მეტოქემ ბოლო წამებზე

გამოგველიჯა გამარჯვება. პირველი თამაში იყო და ბიჭების ასეთ ბრძოლას ნაკლებად ველოდი. ყველა მობილიზებული იყო და თავის საქმეს კარგად ასრულებდა. გამოსარჩევია ნიკა ციტიშვილის თამაში, რომელმაც ფარზეც კარგად იმუშავა და 8 ცდიდან 4 სამქულიანი ჩააგდო. საერთოდ, კი ყველა მეფარემ კარგად წარმოაჩინა თავი. ვლადიმერ ბოისა თამაშამდე 1 საათით ადრე ჩამოვიდა და მის დატვირთვის მოვერიდეთ“.

რამაზ ტყეშელაშვილი

საქართველოს სამქულიანები ჩაუვარდა



საბარტველო 55:71 ისრაელი
 9:23 13:12 14:24 19:12

საბარტველო: ალხანაიძე (16), ელიაძე (8), ბოქლოშვილი (8), ტეტელაშვილი (8), მუმლაძე (6), გურაბანიძე (3), ჯავახიშვილი (6), კაკაურიძე, შარაბიძე

ლობდნენ, ქულები შორი სროლებით მოგვროვებინათ. ამიტომაც იყო, საბოლოო ოქმში გუნდების ნასროლ სამქულიანებში უდიდესი განსხვავება რომ დაფიქსირდა. ქართველებმა მთლიანობაში 32 სამიანი ტყორცნეს, როცა ებრაელებმა მხოლოდ 5-ჯერ შეუტყეს პერიმეტრის მიღმიდან. ბევრი სამქულიანის სროლა, ზოგადად, კარგია, მაგრამ თუკი ვერ გამოიყენებ, წასაგებად განწირული ხარ.

სამაგიეროდ, საშუალო სროლებში ებრაელთა ნაკრების დიდი უპირატესობა დაფიქსირდა, რაც სწორედ მათი ტანმალალი მეფარეების დამსახურებაა. ჩვენმა მეტოქემ 57 ორქულიანი ისროლა და უმეტესობა სამწამიანი ზონიდან, როცა ქართველებმა პერიმეტრის შიგნიდან მხოლოდ 28 ტყორცნა განხორციელეს. ერთი სიტყვით, ჩვენი ნაკრების დამარცხების მიზეზი ფარის წაგება და გამოუყენებელი სამქულიანებია.

წულაძის გუნდმა თავიდანვე ცუდად დაიწყო. დებიუტშივე ჩამორჩა და პირველი მეოთხედი 9:23 დათმო. ორივე გუნდი ბურთს ხშირად კარგავდა და სროლებსაც აცილებდა, მაგრამ ებრაელები იმით სარგებლო-

ბდნენ, რომ ფარქვემ გაბატონდნენ და ჩვენებზე მეტი ქულაც მოაგროვეს.

ამის შემდეგ ქართველებმა ერთი გაიბრძოლეს. ლევან ელიაძის მოედანზე გასვლამ და რამდენიმე ბურთის ჩაგდება მსხვებიც შეაგულიანა და ქართველებმა მეორე მეოთხედის საწყისი 6 წუთი 11:2 მოიგეს, რითაც სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს — 20:25. ელიაძესთან ერთად თავი გოგა ჯავახიშვილმა და მერაბ ბოქლოშვილმა გამოიჩინეს.

გაჩნდა იმედი, რომ წულაძის შევირდები საქმეს გამოასწორებდნენ, მაგრამ ებრაელებმა წუთშესვენება აიღეს, რის მერეც ზედიზედ აგდებდნენ ორიანებს და დიდი შესვენებისთვის ისრაელი 13 ქულას იგებდა — 35:22.

მეორე ტაიმის შემდეგ მდგომარეობა კი არ გამოსწორდა, კიდევ უფრო გაუარესდა. ებრაელები ჩვენი ფარის სამწამიანი ზონიდან დალაშქვრას აგრძელებდნენ და მესამე მეოთხედის შუაწელში ქართველების ჩამორჩენამ 20-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

ბოლო მეოთხედი ფორმალთა გამოდგა, რადგან ისრაელი დიდი სხვაობით იგებდა, ქართველები კი მეტოქეს ფარქვემ ვერაფერს უპირისპირებდნენ, სამქულიანებსაც აცილებდნენ და თამაშაც უიმედოდ წავაგეთ.

ჩვენებმა ბოლო წუთებზე სხვაობა კი ოდნავ შეამცირეს, რაც ცენტრალური თავდამსხმელის, ირაკლი ალხანაიძის დამსახურებაა. სხვათა შორის, ყველაზე მეტი ქულა ჩვენთანთან სწორედ ამ ერთადერთმა გამოკვეთილმა ცენტრმა მოაგროვა. მის ანგარიშზე 16 ქულა იყო, რითაც ის მატჩის ბომბარდირიც გახდა, მაგრამ ამით წულაძის გუნდმა ვერაფერი იხვირა.

ჩვენი კადეტები ზედა, გვიან დამით, ფრანგ თანატოლებს შეხვდებიან, ხოლო ზევ რუსებთან მოუწევთ დაპირისპირება.

რამაზ ტყეშელაშვილი

საქართველოს რაგბის კავშირის იმარტვა

საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა თუ რაოდენ საჭირო და სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს ერთიანობა, საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლის სრული ძალისხმევა და ერთმანეთზე ზრუნვა.

გაცნობებთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირმა თბილისის სხვადასხვა რაიონში განთავსებული 300-მდე დევნილის შექმნის დაგეგმვას დაიწყო.

ორი დღის განმავლობაში დევნილებს მიეწოდათ სურსათი და პირველადი მოხმარების საგნები.

რაგბის კავშირში შექმნილია დევნილთა შემწეობის შტაბი. მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ დევნილთა საჭიროებანი, რომლებიც ნუსხაშია აღწერილი და შესაძლებლობების ფარგლებში დაეხმაროთ იმ ხალხს, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ უდიდესი განსაცდელი გამოიარა და დღეს თითოეული ჩვენთაგანის თანადგომას ელის.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

გთხოვთ მოგმართოთ საქართველოს რაგბის კავშირში.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №49ა; ოფისის ტელეფონები: 294754, 235693; საკონტაქტო პირები: გიორგი ნიყარაძე (895 917711), მალხაზ კოროშინაძე (895 229491), გიორგი მამარდაშვილი (895 221005).

წარმოგიდგენთ საჭირო საგნების ნუსხას (ჩამოთვლილია პრიორიტეტულობის მიხედვით):

ასაკეცი საწოლები, ლეიბები, საბნები, ბალიშები, თეთრეული, ტურტულები, საკეები, პიჯიკები, საშუალებები. თქვენთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა სახის დახმარება.



კალათბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის IV ტური
A ჯგუფი

ავსტრალია — ლატვია 96:73; რუსეთი — ბრაზილია 74:64; ბელარუსი — სამხრეთ კორეა 63:53
ავსტრალია, რუსეთი 4-4 მოგება; ბელარუსი 2; ლატვია, სამხრეთ კორეა 1-1 ბრავილია 0

B ჯგუფი

ჩეხეთი — ახალი ზელანდია 90:59; ჩინეთი — მალი 69:48; აშშ — ესპანეთი 93:55
აშშ 4 მოგება; ჩინეთი 3; ესპანეთი, ჩეხეთი — 2-2; ახალი ზელანდია 1; მალი 0



სალბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის IV ტური
A ჯგუფი

რუმინეთი — ანგოლა 28:23; ფაზახეთი — ჩინეთი 29:26; ნორვეგია — საურანგეთი 34:24
რუმინეთი, ნორვეგია 8-8 ქულა; საურანგეთი 4; ფაზახეთი, ჩინეთი 2-2; ანგოლა 0

B ჯგუფი

შვედეთი — გერმანია 27:26; ბრაზილია — სამხრეთ კორეა 33:32; რუსეთი — უნგრეთი 33:24
რუსეთი 7 ქულა; უნგრეთი, სამხრეთ კორეა 5-5; ბრაზილია 3; შვედეთი, გერმანია 2-2



ფრენბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის IV ტური
A ჯგუფი

პოლონეთი — ვენესუელა 3:0 (25:12, 25:12, 25:20); აშშ — ჩინეთი 3:2 (23:25, 25:22, 23:25, 25:20, 15:11); კუბა — იაპონია 3:0 (25:17, 25:22, 25:22)
კუბა 4 მოგება; აშშ 3; იაპონია, ჩინეთი 2-2; პოლონეთი 1; ვენესუელა 0

B ჯგუფი

რუსეთი — ალჟირი 3:0 (25:11, 25:19, 25:10); ბრაზილია — ფაზახეთი 3:0 (25:13, 25:16, 27:25); იტალია — სერბეთი — 3:0 (25:23, 25:20, 25:19)
ბრაზილია, იტალია 4-4 მოგება; სერბეთი, რუსეთი 2-2; ფაზახეთი, ალჟირი 0-0



წყალბურთი

ჯგუფური ეტაპის III ტური
A ჯგუფი

აშშ — რუსეთი 12:7; იტალია — ჩინეთი 10:9
აშშ, იტალია 5-5 ქულა; ჩინეთი 2; რუსეთი 0

B ჯგუფი

უნგრეთი — საბერძნეთი 18:4; ავსტრალია — პოლანდია 10:9
უნგრეთი, ავსტრალია 5-5; პოლანდია 2; საბერძნეთი 0



ბალახის სპორტი

კაცები. ჯგუფური ეტაპის III ტური
A ჯგუფი

ესპანეთი — ჩინეთი 2:1; ახალი ზელანდია — ბელგია 4:2; გერმანია — სამხრეთ კორეა 3:3
ესპანეთი 6 ქულა; გერმანია, ახალი ზელანდია 4-4; სამხრეთ კორეა 3; ბელგია 1; ჩინეთი 0

B ჯგუფი

პოლანდია — კანადა 4:2; ავსტრალია — პაკისტანი 3:1; დიდი ბრიტანეთი — სამხრეთ აფრიკა 2:0
ავსტრალია, პოლანდია 6-6 ქულა; დიდი ბრიტანეთი 4; პაკისტანი 2; სამხრეთ აფრიკა, კანადა 0-0



ბაისკოლი

ჯგუფური ეტაპის III ტური

კუბა — აშშ 5:4; ჩინეთი — ტაივანი 8:7; სამხრეთ კორეა — კანადა 1:0; იაპონია — პოლანდია 6:0

კუბა 3 მოგება; იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა — 2-2; ტაივანი, კანადა, აშშ 1-1; პოლანდია 0



სოფბოლი

ჯგუფური ეტაპის III და IV ტური

კანადა — ჩინეთი 1:0; აშშ — იაპონია 7:0; აშშ — კანადა 8:1; ავსტრალია — ტაივანი 3:1; ვენესუელა — პოლანდია 8:0

აშშ 4 მოგება; კანადა, იაპონია 3-3; ჩინეთი, ავსტრალია 2-2; ვენესუელა, ტაივანი 1-1; პოლანდია 0



პირველი სისხლი

პაპინის თამაშების გახსნიდან ერთი კვირის თავზე იფეთქა პირველმა დოპინგ-სკანდალმა. აკრძალული ნივთიერების ხმარებაზე ჩავარდა ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელი, რომელმაც ტყვიით სროლაში ორი მედლის მოგება შეძლო. კიმ იონგ-სუს დაუმტკიცდა პროპრანოლოლის ხმარება, რომელიც სპეციფიკური პრეპარატია და უხეშად რომ ავსხნათ, კი არ აძლიერებს ორგანიზმს, არამედ ერთგვარად ასუსტებს კიდევ, კუმშავს სისხლძარღვებს და ანელებს გულისცემას, რაც შესაბამისად ადამიანს ეხმარება ხელის კანკალის გაკონტროლებაში. ამ პრეპარატს ძირითადად მოიხმარენ ტყვიის მსროლელები და შშვილდოსნები, ხოლო იმ მომხმარებლებს, რომლებიც ჩავარდებიან, კარგი ნამდვილად არაფერი ელით.

ამგვარად კიმ იონგ-სუმ და მასთან ერთად ჩრდილოეთ კორეის დელეგაციამ დაკარგეს მის მიერ 50 მეტრზე პისტოლეტით სროლაში მოპოვებული ვერცხლი და 10 მეტრზე პნეუმატური პისტოლეტით მოპოვებული ბრინჯაო.



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ბთავაზობთ

ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მოზილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - 442020 (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მოგზაურობითი „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა უმსაქლებელია

მხოლოდ 8-10-ით

www.telecom.ge



ბაპტიშტა გაროზაელები ფრანკისკო ტოტი დაბრუნდა

კიდევ ერთ გაწევილ ტრანსფერს დააღმა საშეველი — ყულიო ბაპტიშტა „რომაში“ გადაბარგდა. ბრაზილიელს „გლადიატორები“ დიდი ხანი უტრიალებდნენ და საბოლოოდ შეძლეს მასთანაც და მადრიდის „რეალთანაც“ გარიგება.

შემტევმა ნახევარმცველმა „ჯალოროსისთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელი სეზონში დაახლოებით 1,8 მილიონ ევროს მიიღებს, პლუს ბონუსებს. „რეალს“ კი „რომა“ 10 მილიონ ევროს ჩაუჯიბავს. ოლონდ ეს თანხა გაიზრდება, თუ მომავალი ორი სეზონის განმავლობაში „გლადიატორები“ ჩემპიონთა ლიგაში გააღწევენ.

საერთაშორისო აგვისტოს ბოლომდე „რომა“ კიდევ ერთ ფეხბურთელს დამატებს. კლუბის ხელმძღვანელებმა ბაპტიშტას ტრანსფერად რამდენჯერმე განაცხადეს, მაღალი კლასის ორი ფეხბურთელი გვჭირდებაო.

დიდი შანსია, „სტადიო ოლიმპიკოზე“ დავიდ სუასო ვიხილოთ. „რომას“ პონდურასელით დაინტერესებაც არ არის ახალი ამბავი. მით უმეტეს, „ინტერის“ თავდასხმაში ახლა ძალიან დიდი კონკურენციაა და ვარაუდობენ, რომ სუასოსა და ერნან კრესპოს გუნდის გამოცვლა მოუწევთ.

ამასობაში, „ჯალოროსიში“ მურო ესპოზიტოს გოლით ამხანაგურ შეხვედრაში 1:0 მოუგო „ფროზინონეს“. თუმცა მთავარი ის არის, რომ ამ შეხვედრაში მინდორს დაუბრუნდა ფრანკისკო ტოტი, ვინც 59-ე წუთზე სტეფანო ოკაკა ჩუკა შეცვალა.

„გლადიატორთა“ კაპიტანი და სიმბოლო დავევძილზე ადრე ჩაღმა მწკობრში და ახლა უკვე გადაწყვეტილია, რომ 24 აგვისტოს, „ინტერთან“ სუპერთასის მატჩში ითამაშებს.

„თავს კარგად ვგრძობ და მიხარია, რომ დაბრუნდი. მუხლი ნორმალურ მდგომარეობაშია. თავიდან ცოტა მეშინოდა, მაგრამ ეს ბუნებრივია, 10-20 წამის მერე კი, თავდაჯერება შემემატა. მცირე ტრავმის მინც ვგრძობ, მაგრამ ყველაფერი კარგად მიდის და თუ რაიმე არ შეიცვალა, 24 აგვისტოს „ინტერის“ წინააღმდეგ ვითამაშებ. მხარებს ყულიო ბაპტიშტას ტრანსფერის, ეს კარგი შენაძენია და უდავოდ გაგვაძლიერებს. რაც შეეხება სკუდეტოს, ყოზე მაურინიო ბრწყინვალე მწვრთნელია, მაგრამ ვიმედოვნებ, „ინტერში“ არაფერი გამოუვა. ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის მხოლოდ ჩვენ და „ინტერი“ კი აღარ ვიტრიალებთ, „მილანს“, „იუვენტუსს“ და „ფიორენტინასაც“ ექნებათ ამბიციები“ — თქვა ტოტი.

გიორგი კახაბაძე



კაკაოფილი დინიო

რონალდინიო ჯერჯერობით ძალიან კაკაოფილია თავისი და მთელი ბრაზილიის ნაკრების თამაშით ოლიმპიადაზე და მიიჩნევენ, რომ ოლიმპიური თავგადასავლის დასრულების შემდეგ, „მილანს“ კარგ ფორმაში დაუბრუნდება.

„ბრაზილიის ნაკრებისა და ოლიმპიადის წყალობით, როცა „როსონერიში“ დაბრუნდები, ძალიან კარგ ფორმაში ვიქნები. ძალიან დიდი ხანი გამიცდა და რეგულარულად თამაში მჭირდებოდა, რათა ჩემი სხეული კვლავ შეჩვეულიყო დიდ დატვირთვას. ერთი სიტყვით, „მილანის“ ფანებმა იცინა, რომ კლუბს სრულ მზადყოფნაში დაუბრუნდები და პირველივე ტურიდან შევძლებ თამაშს“ — თქვა დინიო.

ტომი კანდელაკი

ბრანისლავს არ უშვებენ

რომორც ჩანს, ბრანისლავ ივანოვიჩი ლონდონის „ჩელსის“ რიგებში დარჩება. სერბი მცველი „არისტოკრატებთან“ მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ იანვარში გადავიდა, თან ლონდონელებს ეს ტრანსფერი 12 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. 24 წლის ფეხბურთელი იტალიური „მილანის“ დაინტერესებული, რომელიც სერბის ივანოვიჩის ინგლისელებს 1,8 მილიონ გირვანქას სთავაზობს, შემდგომში, ფეხბურთელის სრულიად გამოსყიდვის შემთხვევაში, 8,5 მილიონ გირვანქაზეც არ არის უარს.

დიეგუ და ატლეტიკო

მადრიდის „ატლეტიკომ“ ბრემენის „ვერდერს“ ნახევარმცველის, ბრაზილიელი დიეგუს თაობაზე ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო შესთავაზა. ადრე „მუსიკოსები“ ამბობდნენ, რომ ბრაზილიელს მხოლოდ 18 მილიონად შეელოდნენ, ახლა კი ოფიციალურ პასუხს ჯერჯერობით არ იძლევიან. აღსანიშნავია, რომ ამასწინათ დიეგუს „ვერდერის“ ხელმძღვანელობასთან პეკინის ოლიმპიადაზე გაშვებასთან დაკავშირებით კონფლიქტი მოუვიდა.

სტარიჯი დროგას უეცვლის?

ლონდონის „ჩელსი“ მზადაა, „მანჩესტერ სიტის“ 18 წლის თავდასხმელ დენიელ სტარიჯში 8 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. „არისტოკრატები“ ნიჭიერი ფეხბურთელის თამაშს უკვე რამდენიმე წელია, თვალყურს ადევნებენ და მას მომავალში დიდი დროგასს შემცველელად კი მოიაზრებენ.

ტიაგუ ნევიუთი

იტალიელები დაინტერესდნენ

„ვლუჰინენსის“ ნახევარმცველი ტიაგუ ნევიუთი ოლიმპიადაზე ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით გამოდის. ჩინეთთან უკანასკნელ მატჩში მან ორი გოლით გამოიჩინა თავი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამ ფეხბურთელით იქამდეც იყო დაინტერესებული, ახლა კი მას ერთბაშად ოთხმა იტალიურმა კლუბმა დააღმა თვალი — „პალერმო“, „ფიორენტინა“, „რომა“ და „მილანა“.

ასტონ ვილა

კონტრაქტებს ახანგრძობენ

ინგლისის ნაკრების წევრმა გაუბრეილ ავბონლაპორმა ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება 4 წლით დაიდო. ასე რომ, 21 წლის ფეხბურთელი „ვილა პარკზე“ 2012 წლამდე დარჩება. „ვილასთან“ ასევე გაახანგრძლივა ხელშეკრულება ნორვეგიელმა ჯონ კარუმ, ოლონდ მისი კონტრაქტის ვადა ერთი წლით ადრე — 2011 წელს ამოიწურება.

არჩილ კობახიძე

მანჩესტერ იუნაიტედს 5 მილიონით ბარსაჰენ

ინგლისური პრესა წერს, რომ „ტოტენჰემ ჰოტსპური“ ბულგარულ ვარსკვლავს დიმიტარ ბერბატოვს უმაღლეს „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიჰყიდის და ზედ ფასსაც დაუკლებს, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუთმობს.

საიდან მოვიტანეთ „ბარსელონა“? სწორედ იმ ინგლისური გაზეთებიდან, რომელთაც შეიტყვეს, რომ კატალიონური გიგანტი ბერბატოვის გადაბირებით სერიოზულად არის დაინტერესებული. ისე, თორილად, ბერბატოვის საყიდლად რიგში ჩამდგარ კლუბთა შორის ბევრი მიმომხილველი ფავორიტად ჯერ მინც „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიიჩნევენ, მაგრამ „მამლები“ ინგლისის ჩემპიონისგან არც მეტი, არც ნაკლები, 30 მილიონ გირვანქას ითხოვენ და ხუთი მილიონის დაკლებას ცოცხალი თავით არ თანხმდებიან.

ასე და ამგვარად, სურათი ნათელია: არის „მანჩესტერი“, რომელსაც 30 მილიონის გადახდა არ უნდა და არის „ბარსელონა“, რომელიც ასეთ შემთხვევაში ბულგარელს ეს-

პანეთში წაიყვანს. ზემოთ მოგახსენეთ, რომ მიმომხილველთა მეორე ჯგუფის აზრით, „ტოტენჰემი“ უმაღლეს „ბარსელონას“ დათანხმდება ნაკლებად სარფიან გარეგნაზე, ვიდრე მრისხანე ბულგარულ თავდასხმელს პრემიერლიგაში დატოვებს.

„ტოტენჰემი ჰოტსპურის“ ერთ-ერთმა ოფიციალურმა წამომადგენელმა ჟურნალისტებს დაუდასტურა: „ბარსელონელები სიტუაციას ძალიან დიდი დაკვირვებით სწავლობენ და ვიცით, რომ დიმიტარის შესაძენად ყოველ წამს მზად გახლავართ“.

მოგესხენებთ, ლონდონელთა გუნდი მანჩესტერელების ქცევამ განარისხა. მათ ვერ აიტანეს ერთ მშვენიერ დღეს პრესაში განმარტებული ამბავი, რომ სერ ალექს ფერგისონი ბერბატოვს უკვე „ოლდ ტრეფორდზე“ ელოდება. „მამლების“ ეს პანელმა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბერბატოვის სეზონისწინა ფორმით კაკაოფილია და მისი ლონდონში დატოვება სურს.

„ის იმდენად დიდი პროფესიონალია, რომ მთელი ამ ჭორების და მითქმა-მოთქმის მიუხედავად, სავარჯიშო მოედანზე მაქსიმალური თავდადებით ირგვება. ის ფანტასტიკური მოთამაშეა და ძალიან მინდა, „ტოტენჰემში“ დავიტოვო. ეს ბუნებრივია, ნებისმიერ მწვრთნელს ხომ საუკეთესო ფეხბურთელებთან სურს მუშაობა. დიმიტარი გამონაკლისი არ გახლავთ“.

კაკაუნა კილია



კოტაჯიზაცია

1X2 აგვისტო

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოფ-ტა სისტ

- კომპუი კიტაჯიმა დავსვი, ლიუ ზიგე დავსვი და...
- შენ მთლად გამოკომპიულხარ, რეებს ამბობ, ტო ეგენი ვინ არიან?
- ვინ არიან და ბანაობაში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, ორივე უეჭველი ვიცოდი და ცვეტში მეწერა, მარა...
- მარა რა?
- „სიტის“ მოგება მივაბი და არ ჩატება ამ ჰიუზმა?
„სიტი“ რო ხარ, რატო უნდა წააგო „მიდტიულანდთან“, პროსტაამც აზრზე არა ვარ. არადა, ვიფიქრე, ამ კიტაჯიმა და ზიგეს, მონღოლი ძიუდოსტი ტუეშინბაიარ ნაიდანი მივაბა თუ „სიტი“-მეთქი. ნეტა დამეწერა ტუეშინბაიარ...
- კაროჩე, რა უნდა დავიჭიროს მაგ მონღოლმა და მიგატატამოს. საიდან მოიტანე „სიტი“, ტო!
ტაილანდელი მაფიოზის გუნდი ბილეთში რამ ჩავაწერინა. ვაფშე აზრზე ხარ, ვინაა „სიტის“ პატრონი?
- შენ რა ტაილანდი გელანდება, ძმაო.
- ეეე... კაი, რა, ტო კიტაჯიმა და ტუეშინბაიარი ვაგვია და ტაქსინ შინავატრა არ უნდა იცოდე? ეგ არი პირველი ყომარბაზი. ტაილანდში პადლონი ტოტალიზატორები ჰქონდა და თამაშებს აწყობდა. შარშან „სიტი“ რო იყიდა, მოშნად მაყუთი ისროლა და ეხლა უნდა ამოიღოს. თან, ნახე, ტო, როგორ დაარეკლამა ამ ზაფხულს გუნდი? ტრენერად მარკ ჰიუზი მიიყვანა, ფუტბალისტიები იყიდა. ვილაც ფოში 18 მილიონი გაისროლა და შენნაირები დააბოლა...
- თუ ძმა ხარ, რა შინავატრას ბიოგრაფია მაინტერესებს? რამე უეჭველი თამაში ვნახოთ დღეს.
მე მგონი, „არსენალი“ იმაიმუნებს „ვესტ ბრომვიჩთან“. ყველაზე მალე იწყება, ხალხს მეშოკებით მიატანინებენ ფულს და არსენა კიდე წააგებს.
- მეც ცვეტში ეგრე ვფიქრობ. ეგ თამაში იმენა სტანოკია. იმიტოა შემოგდებული ოთხ საათზე, რო ზაფანგში გაგვაბან, ტო.
- კაროჩე, „ვესტ ბრომვიჩის“ ორიანს ვწერ და...
- ჰა, ჰა, ტორმუხ! პასტა გააჩერე და მეტი აღარაფერი მიაბა. არ გინდა ეხლა ტუეშინბაიარობა და კიტაჯიზაცია...

კუში კოზმარია

ჩემი ბილეთი: ინგლისი. კონფერენსლიგა. 001 ფარსლი - ჰინკლი შედეგი: 2,5 და ნაკლები ლი სავარაუდო მოგება: ჰინკლის სახლი მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ გადააკეთებინა მარკ ჰიუზმა ტაქსინ შინავატრას ბილეთში „სიტის“ ერთიანი იქსდვად.

114140 *

ინტერს პრაპინ აუინებს



ხაგიერ ძანეტი

მილანის „ინტერს“ კიდეც ერთი არგენტინელი მოთამაშის ყიდვა განუზრახავს. „ინვერ პლეიტის“ ახალგაზრდა ტალანტი დიეგო ბონანოტე მიმდინარე ოლიმპიადაზე მშვენივრად ირჯება, მან სერბეთს ბრწყინვალე გოლიც გაუტანა საჯარიმო დარტყმით და „ნერაპურის“ სკაუტები ჩინეთში გამგზავრებულან. ისინი დღეს „ალბისელესტესა“ და

ნტი „ბარსელონას“ ვარსკვლავზე დიდი ხანია ოცნებობს. „ინტერის“ ბანაკში ერთი სასიხარულო ამბავია, გუნდის ლაზარეთს კრისტინ კიეუ მოაკლდა. რუმინელი მცველი ჯანზეა და ვარჯიშს იწყებს. დიდი შანსია, 24 აგვისტოს თავისი ყოფილი კლუბის, „რომას“ წინააღმდეგ იტალიის სუპერთასის მატჩშიც ვიხილოთ. „ნერაპურის“ ვეტერანი კაპიტანი ზაგიერ ძანეტი კი ამბობს, რომ „იუვენტუსის“ კი არა, არავისი არ ეშინია და ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. „მეშინია თუ არა „იუვენტუსის“? არა, ჩვენ არავინ გვაშინებს, მაგრამ ყველას პატივს ვცემთ. თუმცა ფსონს ყოველთვის ჩვენზე გვაკეთებდი. კარგად ვმუშაობთ და იმედი გვაქვს, ასევე გავაგრძელებთ, რათა 24 აგვისტოს „რომასთან“ შეხვედრისთვის საუკეტესო ფორმაში ვიყოთ. ეს ჩვენი პირველი ოფიციალური მატჩი იქნება. მართალია, რამდენიმე მოთამაშე დაშავებული გვაყავს, მაგრამ ისინი ნელნელა მწყობრში დგებიან. ადრიანოც მშვიდადაა, რადგან მისი ტრავმა არც ისე სერიოზულია“ - თქვა ძანეტი.

კოკი კანდელაკი

Table with football results: ჩილე, კლავსურა. IX ტური, ხალსტინო 0:3 უნივ. დი ჩილე; უზვიცარია, ჩილენჯლიგა. IV ტური, კონკორდია 2:0 ლოპარნო, ვინტარტური 1:3 თუნი; აგვისტო 2008, ძალბი. მემოტეფინალი, ბრაზილია 2:1 ნორვიგია, აშუ 2:1 დ.დ. (1:1) კანადა, ჩინეთი 0:2 იხარნია, შვიდეთი 0:2 დ.დ. ბარგანია; იტალია, ასოციაციის თასი, მემოტეფინალი, გოვიმანსი 1:0 დროვიდა, ბრინი 0:0 დანადაკი, ბალვი 4:1 ითლოუსი, შიმროკი 0:1 კორკი; ახსანგური მატჩები, მალიორკა 1:1 ჰსვ, ფროზინონე 0:1 რომა, კადისი 2:0 ბილგო, ტილგურბი 0:0 ისპანიოლი, ბინფია 0:0 ინტარინი, მალაგა 1:1 უილვა, უიკაქლესი 0:1 სივასფორი, ანაბარა 1:1 ბინფორინი, ძოჯაბელი 1:2 ძსანთი; აშუ, მივიჯორ ლიგა. XXI ტური, ჩივასი 2:2 ლოს ანჯელუსი; რუსეთი, არამივირლიგა. XVIII ტური, ტოში 1:2 რუბინი; ნორვიგია, თასის მემოტეფინალი, ლინე 1:3 დ.დ. (0:0) მიოლდო.

Table with football results: საფრანგეთი, II დივიზიონი, აიარო 1:1 დიშონი, ანთერი 3:0 სიდანი, ბინგაში 0:2 რიონი, მონაელი 0:0 გულონი, ტუარი 1:0 ვანე, ტრუა 1:0 ბრისტი, კლიტონი 2:0 ნინი, ლანსი 1:0 შატორუ, სტრასბური 1:0 ბასტია; კოლანდია, II დივიზიონი, II ტური, აპილდორნი 1:0 დორდონტი, კაგაური 2:0 ვინლო, ემანი 1:1 პოლონდონი, ბინდოვიანი 3:2 ჰაარლივი, იგლსი 1:1 სიტარდონი, მბასტრინტი 0:1 იმსალსიორი, რუზენდალი 1:3 ზოლოვი, ვალვიანი 4:1 ვინდაში, ტილსტარი 2:2 დინ გოუსი, რსი 3:0 ალვირა; გერმანია, ბუნდესლიგა. I ტური, ბანიონი 2:2 ჰამბურბი, II ბუნდესლიგა. I ტური, ალვიანი 2:1 ვინანი, მანიცი 3:3 ლაუტონი, ზანატ პაული 2:2 რსნაბრიუკი, III ბუნდესლიგა. III ტური, ბრვურტი 2:1 კარლ ცაინი; უკრაინა, ვივა ლიგა. V ტური, კრივპასი 1:1 კარაბატი; ავსტრია, I ლიგა. II ტური, კრაპოვია 2:0 ლოკი, ბრკა 1:0 გურნიკი; უზბეკეთი, ალსპინსკა. XIX ტური, ჰამარბი 2:4 ბანი.

რუნი იჯარით ინფერნუსი
შოტლანდიური „ინვერნესი“ „სტოკ სიტის“ თავდასხმელ ადამ რუნის იჯარით აყვანას აპირებს. ახალგაზრდა ფეხბურთელი უკვე რამდენიმე კვირაა, რაც „ინვერნესთან“ ერთად ვარჯიშობს და ამ პერიოდში თავი კარგად გამოიჩინა. „ამჟამად ყველაფერი რიგზეა და ვცდილობთ, „სტოკთან“ მოლაპარაკება ბოლომდე მივიყვანოთ“ - განაცხადა შოტლანდიური კლუბის დამრიგებელმა კრეივ ბრიუსტერმა.
ბელარი საფოტოლოგი დაბრუნდა
ამერიკელი გოლიკები კეისი კელერი მეიჯორ ლიგის „სიეტლ სონდერსის“ რიგებში ჩაირიცხა. 38 წლის მეკარე ბოლოს ლონდონის „ფულემში“ გამოდიოდა, თუმცა „ქრეივენ კოტეჯზე“ რომ ჰოჯსონის მისვლის შემდეგ გუნდის შეცვლა მოუწია. კელერს აშშ-ის ნაკრების ღირსება ყველაზე მეტჯერ - 102-ჯერ დაუცავს და ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც როგორც 1990, ასევე 2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე უთამაშია.
კეისი ინგლისურ პრემიერლიგაში „ფულემის“ გარდა „მილუოლის“, „ლესტერის“ და „ტოტენჰემის“ რიგებშიც გამოდიოდა და არ მალავდა, რომ კარიერის სამშობლოში დასრულებინა სურდა.
პსუ-ს სანქციები მოუხსნეს
ფრანგული პრესა იტყობინება, რომ პარიზის ადმინისტრაციულმა ტრიბუნალმა „პარი სენ-ჟერმენი“ საფრანგეთის ლიგის თასის გათამაშებაზე დაუშვა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო გულშემოტიკეართა ხულიგნური გამოხდომების წინააღმდეგ დედაქალაქური კლუბის ბრძოლა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება, რომელმაც პარიზელები ლიგის თასიდან მოკვეთა, გადაჭარბებულად მიიჩნია.
ასუ-ს სანქციები მას შემდეგ დაედო, რაც გასულ სეზონში, „ლანსის“ წინააღმდეგ ლიგის თასის ფინალური მატჩისას პარიზელმა გულშემოტიკეებმა ტრიბუნებზე ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის მოსახლეობის შეურაცხყოფელი ბანერები გადმოფინეს.

